თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4814941

ნომერი: AR1727018

თარიღი : 30.12.2019

გაცემის თარიღი : 09.01.2020

გაცნობის თარიღი : 09.01.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა, N 87;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ორმოცაძე პ/ნ 01024064016
- თბილისი ს. ცინცაძის ქ. N 85 ბ. 79

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1727018 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. #87-ში, #01.10.15.026.036; საკადასტრო ერთეულზე მშენებლობის ვადის გაგრძელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2019 წლის 01 ოქტომბრის #AR1710080 განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე თეკლა

კუხიანიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. #87-ში, #01.10.15.026.036 საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის, ნებართვის ვადის გაგრძელება, რაზეც სამსახურის 2019 წლის 31 დეკემბრის #4809099 გადაწყვეტილებით ეთქვა უარი.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, მოსაშვილის ქ. #9-ში (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე მშენებლობის ნებათვის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით.

ამასთან განგიმარტავთ, იმისათვის რომ დაცული იქნას როგორც ნებართვის მაძიებლის, ასევე იმ პირების ინტერესები, რომელთა კანონით დაცულ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სამშენებლო სამუშაოები, საჭიროა თქვენს მიერ წარმოდგენილი „შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტი“-ზე ნათლად და გარკვევით დაფიქსირდეს რატომ ეწინააღმდეგებით კონკრეტულ სამშენებლო სამუშაოებს. (რა ნორმებს ეწინააღმდეგება შესათანხმებელი სამშენებლო სამუშაოები) და რა ზიანი შეიძლება მოგადგეთ განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოებით. საჭიროების შემთხვევაში ასევე წარმოდგენილ უნდა იქნას თქვენს მიერ დაფიქსირებული გარემოებების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.